ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 23

დაბა ხარაგაული

9 აპრილის . #15

2019 წლის 27 დეკემბერი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, ირაკლი ფერაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ,ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, თორნიკე ავალიშვილი, მიხეილ ჭიპაშვილი სულ საკრებულოს 25 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: მანანა ბარბაქაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრის პროცედურის დაწყებამდე საკრებულოს წევრის მიხეილ ჭიპაშვილის მიერ დადგა საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილიყო საკითხები:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

მომხს: მანანა ბარბაქაძე

ვინაიდან საკითხებს არ არის გაცნობილი საკრებულოს წევრები, ისედაც ეწინააღმდეგება რეგლამენტის მოთხოვნებს და არ არის აუცილებლობით გამოწვეული რიგგარეშე სხდომაზე მისი განხილვა .

დასმულ წინადადებას დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგიდან ამოღებული ყოფილიყო ზემოთ აღნიშნული 2 საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 25 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი-0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ფრაქცია „ძალა ერთობაშია“-ს თავმჯდომარემ თორნიკე ავალიშვილმა დააყენა წინადადება სხდომის ტრანსლირების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა სხდომის პირდაპირ ეთერში ჩვენება

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

მან საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების თაობაზე და აღნიშნა, რომ ცვლილება გამოიწვია მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობამ და მთავრობის განკარგულებით 1მლნ 200 000 ლარის ფარგლებში მოხდა თანხების უკან წაღება, წლის ბოლოა და აუცილებელია ბიუჯეტის დაზუსტების მიზნით აისახოს ეს ცვლილება.

საკრებულოს წევრის მ. ჭიპაშვილმა და სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა წევრებმა კატეგორიულად მოითხოვეს საკრებულოს სხდომაზე მოსულიყო მუნიციპალიტეტის მერი და მიეცა განმარტება საკრებულოს წევრებისათვის რატომ დაკარგა მუნიციპალიტეტმა აღნიშნული რაოდენობის თანხა, რა იყო მიზეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომის გაგრძელების უფლებას არ მისცემდნენ სხდომის თავმჯდომარეს

სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა საკრებულოს სხდომაზე გამოცხადებულიყო მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს წევრებს მოესმინათ უშუალოდ მისგან განმარტება ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობის თაობაზე შედეგი ვერ იქნა მიღწეული.

შესვენების დამთავრების შემდეგ სხდომა განახლდა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ ეს თანხა მთავრობის განკარგულებით უკვე წაღებულია აქ მისაღებია მხოლოდ ფორმალური მხარდაჭერა ამას აღარაფერი ეშველება, რაც ძალიან ცუდია მარგამ ეს არის რეალობა, რის წინაშეც ჩვენ დავდექით. სამწუხაროდ ჩემი სამსახურის უფლებამოსილება ვერ წვდება აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების საკითხს.

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილულია საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და შემოთავაზებული ყველა ცვლილებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა უკმაყოფილება დიდია, თუმცა შეცვლა არ შეგვიძლია, საარჩევნო წელია და ცუდია, რომ ფული არის და ვერ ვიყენებთ.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, რატომ არ აყენებთ უმრავლესობა მერი იმპიჩმენტი საკითხს, საქმე მაშინ გაკეთდება, როცა მერი მოვა საკრებულოს სხდომაზე მოგვისმენს და მოუსმენს ხალხს.

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ ეს არ არის მარტივი საკითხი უამრავი ხალხი ელოდება მის სოფელში, უბანში გზის გაკეთებას, თანხა არის და საქმეს ვერ ვაკეთებთ, ჩვენ ვართ სუსტი თვითმმართველობა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს შესთავაზა საბიუჯეტო ცვლილებისათვის ეყარათ კენჭი.

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 25 წევრი

მომხრ 21

წინააღმდეგი4

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე